

## სრკ-ის 2022 წლის 23 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტი

1. 2022 წლის 23 დეკემბრის სრკ-ის საერთო კრება დაიწყება 13:00 საათზე მონაწილეთა რეგისტრაციით.
2. რეგისტრაცია ხორციელდება საერთო კრების სამდივნოში.
3. საერთო კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სრკ-ის პრეზიდენტს, გამგეობის წევრებს, ნამდვილი წევრების თითო წარმომადგენელს, სამდივნოს წევრებს, საგანგებოდ მოწვეულ სტუმრებს
4. კრებას ესწრება და კრების ოქმს ადგენს ნოტარიუსი.
5. საერთო კრება არ არის საჯარო.
6. ნამდვილი წევრები წარმოდგენილი იქნებიან მათი რეგისტრირებული (ოფიციალური) ხელმძღვანელების ან ასეთი ხელმძღვანელის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობით.
7. საერთო კრებაში მონაწილეობისათვის რეგისტრაციისათვის ნამდვილი წევრის უფლებამოსილ წარმომადგენელს უნდა გააჩნდეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი.
8. რეგისტრაციისას მონაწილენი ხელს აწერენ საერთო კრებაში მონაწილეთა (ნამდვილ წევრთა) სიას იმ ნამდვილი წევრის გრაფის გასწვრივ, რომელსაც წარმოადგენენ და რომლის სახელითაც ესწრებიან კრებაზე.
9. რეგისტრაცია მთავრდება 13 საათსა და 45 წუთზე.
10. სამდივნო გადასცემს კრების თავმჯდომარეს მონაწილეთა სიას და ვინაობას 13 საათსა და 55 წუთზე.
11. საერთო კრებას უძღვება გამგეობის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში, გამგეობის მიერ არჩეული პირი - გამგეობის წევრი. კრების თავმჯდომარე უფლებამოსილია დააწესოს გამომსვლელთა რეგლამენტი და რაოდენობა, გამოაცხადოს შესვენება არაუმეტეს 30 წუთისა, კრების მსვლელობის უწყვეტობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.
12. 14:00 საათზე კრების თავმჯდომარე აცხადებს ინფორმაციას კრების უფლებამოსილებისა და დღის წესრიგის შესახებ.
13. საერთო კრება ტარდება დღის წესრიგის მიხედვით.
14. საერთო კრებაზე გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით.